Z. and Others v. The United Kingdom

ზ. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

საჩივარი N 29392/95

გადაწყვეტილება

10 მაისი 2001

ფაქტები

მომჩივნები არიან ოთხი დედმამიშვილი, Z- 1982 წელს დაბადებული გოგონა, A- 1982 წელს დაბადებული ვაჟი, B- 1986 წელს დაბადებული ვაჟი და C- 1988 წელს დაბადებული გოგონა. ყველა ბრიტანეთის მოქალაქე.

1987 წლის ოქტომბერში მომჩივნების ოჯახი გადაცემული იქნა სოციალური სამსახურისთვის, რადგან ამავე სამსახურის წარმომადგენლებმა ვიზიტის შემდეგ გამოთქვეს შეშფოთება ბავშებთან დაკავშირებით, მათ შორის აცნობეს, რომ Z იპარავდა საჭმელს.

მომდევნო ოთხნახევარი წლის განმავლობაში სოციალური სამსახურები აკვირდებოდნენ ოჯახს და სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ მშობლებს. ამ პერიოდის განმავლობაში პრობლემები გრძელდებოდა. 1989 წლის ოქტომბერში, ძარცვის გამოძიების დროს, პოლიციამ აღმოაჩინა ბავშების ოთახები ბინძურ მდგომარეობაში, მათი მატრასები გაჟღენთილი იყო შარდით. 1990 წლის მარტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ Z და A იპარავდნენ საჭმელს სკოლაში. 1990 წლის სექტემბერში A და B-ს სახეზე აღენიშნებოდათ სისხლჩაქცევები. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბავშები თავიანთ ოთახებში იყვნენ ჩაკეტილები არაჰიგიენურ პირობებში. საბოლოოდ, 1992 წლის 10 ივნისს, ბავშები მოათავსეს გადაუდებელ მინდობით აღზრდაში მათივე დედის მოთხოვნით, რომელმაც თქვა, რომ თუ ისინი კვლავ მისი აღსაზრდელები იქნებოდნენ, ის სასტიკად სცემდა მათ. კონსულტანტმა ფსიქოლოგმა, რომელმაც გამოიკვლია ბავშვები დაადგინა, რომ უფროს სამს ჰქონდა სერიოზული ფსიქოლოგიური აშლილობის ნიშნები და აღნიშნა, რომ ეს იყო უყურადღებობისა და ემოციური ძალადობის ყველაზე უარესი შემთხვევა, რაც კი მას უნახავს. სახაზინო ადვოკატმა, რომელიც წარმოადგენდა მომჩივნებს, დაიწყო სამართალწარმოება ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ და ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას გაუფრთხილებლობის გამო, იმ საფუძვლით, რომ ხელისუფლებამ სათანადოდ არ უზრუნველყო ბავშების კეთილდღეობა და არ მიიღო ეფექტური ზომები მათ დასაცავად. ლორდთა პალატაში

სამართაწარმოების დასრულების შემდეგ, მომჩივნების საჩივრები აღარ დაექვემდებარა განხილვას. 1995 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, რომელიც ეხებოდა სამ საქმეს, ლორდმა ბრაუნ-ვილკინსონმა, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინა, რომ საჯარო პოლიტიკის გათვალისწინებით, ადგილობრივ ხელისუფლებას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის მისი კანონიერი ვალდებულების (რომ დაიცვას ბავშვთა კეთილდღეობა) შესრულების დროს.

კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

78. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ წვდომა სასამართლოზე, რათა განხილულიყო მათი საჩივრები ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლოს შეფასება

1. კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენებადობა

87. სტრასბურგის სასამართლო იხსენებს საკუთარ მუდმივ პრეცედენტულ სამართალს იმის თაობაზე, რომ „მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ვრცელდება მხოლოდ (სამოქალაქო) დავებთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებზე“, რაც შეიძლება ითქვას, ყოველ შემთხვევაში სადავო მიზეზების გამო, რომ აღიარებულია ეროვნული კანონმდებლობით; ის თავისთავად არ იძლება რაიმე კონკრეტული შინაარსის (სამოქალაქო) უფლებებს და ვალდებულებებს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა არსებით კანონმდებლობაში“ (იხ. *James and Others v. the United Kingdom*, judgment of 21 February 1986, Series A no. 98, pp. 46-47, § 81; *Lithgow and Others v. the United Kingdom*, judgment of 8 July 1986, Series A no. 102, p. 70, § 192; and *The Holy Monasteries v. Greece*, judgment of 9 December 1994, Series A no. 301-A, pp. 36-37, § 80). თუმცა, იგი სავარაუდოდ ვრცელდება „ნამდვილი და სერიოზული ხასიათის“ დავების მიმართ, რომლებიც ეხებიან უფლების რეალურ არსებობას, აგრეთვე მისი განხორციელების ფარგლებს ან ხერხს (იხ. *Benthem v. the Netherlands*, judgment of 23 October 1985, Series A no. 97, pp. 14-15, § 32).

88. წინამდებარე საქმეში, მომჩივნები ითხოვდნენ ზიანის ანაზღაურებას სავარაუდო დაუდევრობის საფუძველზე, სამოქალაქო სამართალდარღვევა ინგლისურ სამართალში რომელიც დიდწილად განვითარებულია ეროვნული სასამართლოების პრეცედენტულ სამართალში. მხარეები თანხმდებიან, რომ არ არსებობდა სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო ბავშვის დაცვის

მოვალეობის შესრულებისას გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ზიანზე. სწორედ მომჩივანთა საქმეზე მოუწოდეს ეროვნულ სასამართლოებს, გადაეწყვიტათ, ეკუთვნოდა თუ არა ეს სიტუაცია გაუფრთხილებლობაზე პასუხისმგებლობის ერთ-ერთი არსებულ კატეგორიას, ან უნდა გავრცელდეს თუ არა რომელიმე კატეგორია ამ სიტუაციაზე.

89. სტრასბურგის სასამართლო დარწმუნებულია, რომ სამართალწარმოების დასაწყისში არსებობდა სერიოზული და ჭეშმარიტი დავა მომჩივანთა უფლების თაობაზე, გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც ჩანს მომჩივნებისთვის იურიდიული დახმარების გაწევით და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათი საჩივრები ნამდვილად უნდა განხილულიყო ლორდთა პალატის მიერ. ლორდთა პალატის გადაწყვეტილებამ რეტროსპექტულად არ გამორიცხა მომჩივნების საჩივრების არგუმენტირება (იხ. *Le Calvez v. France*, judgment of 29 July 1998, *Reports* 1998-V, pp. 1899-900, § 56). ასეთ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნების სარჩელი, სულ მცირე სადავო საფუძვლების გამო, იყო ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი.

90. შესაბამისად, მე-6 მუხლი გამოყენებადია წინამდებარე, მომჩივნების მიერ ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ გაუფრთხილებლობის ბრალდებით წარმოებულ, სამართალწარმოებაზე. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს დაკმაყოფილდა თუ არა მე-6 მუხლის მოთხოვნები ამ სამართალწარმოების დროს.

2. კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობა

91. სტრასბურგის სასამართლომ საქმეში *Golder v. the United Kingdom* (judgment of 21 February 1975, Series A no. 18, pp. 13-18, §§ 28-36), დაადგინა, რომ მე-6 მუხლით გარანტირებული პროცედურული გარანტიები იქნება აზრს მოკლებული თუ არ იქნება დაცული ამ გარანტიებით სარგებლობის წინასწარი პირობა, კერძოდ, სასამართლოზე წვდომა. მან ეს დაადგინა, როგორც მე-6 მუხლში გათვალისწინებული უსაფრთხოების გარანტიების თანდაყოლილი ასპექტი, რომელიც გულისხმობს კანონის უზენაესობის პრინციპს და თვითნებული ძალაუფლების თავიდან აცილებას, რაც ემყარება კონვენციის დიდ ნაწილს.

92. მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს „შეიძლება...დაეყრდნოს ნებისმიერი პირი, ვინც მიიჩნევს, რომ მის ერთ-ერთ (სამოქალაქო) უფლებაში ჩარევა უკანონოა და დავობს, რომ მას არ ჰქონია შესაძლებლობა ეს მოთხოვნა წარედგინა სასამართლოში, რომელიც აკმაყოფილებს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს“ (იხ. *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, judgment of 23 June 1981, Series A

no. 43, p. 20, § 44). როდესაც სახეზეა სერიოზული და ჭეშმარიტი დავა ამგვარი ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო უფლების არსებობასთან ან მოქმედების არეალთან, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი პირს ანიჭებს უფლებას „რომ ეს საკითხი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განიხილოს საამართლომ“ (იხ. *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, judgment of 23 September 1982, Series A no. 52, p. 30, § 81; see also *Tre Traktörer AB v. Sweden*, judgment of 7 July 1989, Series A no. 159, p. 18, § 40).

93. თუმცა, უფლება არ არის აბსოლუტური. იგი შეიძლება დაექვემდებაროს ლეგიტიმურ შეზღუდვებს როგორიცაა სავალდებულო ხანდაზმულობის ვადა, სასამართლო ხარჯების უზრუნველყოფა, არასრულწლოვნებთან და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებთან დაკავშირებული რეგულაციები (იხ. *Stubbings and Others v. the United Kingdom*, judgment of 22 October 1996, *Reports* 1996-IV, pp. 1502-03, §§ 51-52; *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, judgment of 13 July 1995, Series A no. 316-B, pp. 80-81, §§ 62-67; და *Golder*, cited above, p. 19, § 39). როდესაც პირის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია კანონით ან ფაქტობრივად, სტრასბურგის სასამართლო შეისწავლის ზღუდავდა თუ არა უფლების არსს დაწესებული შეზღუდვა და კერძოდ, მისდევდა თუ არა ის ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა შესაბამისი პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (იხ. *Ashingdane v. the United Kingdom*, judgment of 28 May 1985, Series A no. 93, pp. 24-25, § 57). თუ შეზღუდვა შეესაბამება ამ პრინციპებს, არ წარმოიშვება მე-6 მუხლის დარღვევა.

95. პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნებს არავითარი პრაქტიკული წესით არ ჰქონიათ შეფერხებული წარედგინათ თავიანთი სარჩელი ეროვნული სასამართლოების წინაშე. მართლაც, საქმე განიხილებოდა ლორდთა პალატის წინაშე და ამისთვის მომჩივნებს უწევდნენ იურიდიულ დახმარებას. არც რაიმე პროცედერული წესი ან ხანდაზმულობის ვადა ყოფილა გამოყენებული. სასამართლოების წინაშე წარმოდგენილი არგუმენტები კონცენტრირებული იყო სამართლებრივ საკითხებზე, უპირველეს ყოვლისა, ეკისრებოდა თუ არა ადგილობრივ ხელისუფებას გაუფრთხილებლობის პასუხისმგებლობა ზრუნვის ვადებულების შესრულებისას.

96. უფრო მეტიც, სტრასბურგის სასამართლო არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ლორდთა პალატის გადაწყვეტილება, რომ, როგორც სამართლის საკითხი, მომჩივანთა საქმეზე არ არსებობდა მზრუნველობის ვალდებულება, შეიძლება შეფასდეს როგორც გამონაკლისი წესი ან იმუნიტეტი, რითაც მათ ჩამოერთვათ წვდომა სასამართლოზე. როგორც ლორდმა ბრაუნ-ვილკინსონმა თავის სიტყვაში განმარტა, ლორდთა პალატა დაინტერესებული იყო იმ საკითხით

გაუფრთხილებლობის ახალი სამართლებრივი კატეგორია (ეს არის შემთხვევების კატეგორია, სადაც მზრუნველობის ვალდებულება ადრე არ არსებობდა) უნდა განევითარებინათ თუ არა სასამართლოებს მათი საერთო სამართლით გათვალისწინებული საკანონმდებლო როლის შესაბამისად. ლორდთა პალატამ, მას შემდეგ, რაც აწონა საჯარო პოლიტიკის კონკრეტული საკითხები, გადაწყვიტა არ გაევრცელებინა პასუხისმგებლობა გულგრილობის ახალ კატეგორიაზე. ამით იგი ზღუდავდა პასუხისმგებლობის სპექტრს დელიქტური სამართლის შესაბამისად.

97. ამ გადაწყვეტილებით საქმე დასრულდა ისე, რომ ფაქტობრივი მტკიცებულებები არ დადგინდა. თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ არ არსებობდა სარჩელის საფუძველი მტკიცებულებების განხილვა იქნებოდა ძვირადღირებული და შრომატევადი პროცესი რომელიც, საბოლოოდ, მომჩივნებს არ უზრუნველყოფდა სამართლებრივი დაცვის საშუალებით. არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ საქმის განსახილველი სიიდან ამორიცხვის პროცედურა (რომელიც გულისხმობს ქმედების საფუძვლების არსებობას) თავისთავად მიჩნეული იქნეს სასამართლო ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად. ასეთი სამართალწარმოების დროს, ზოგადად, მოსარჩელეს შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს არგუმენტები რომლებიც მხარს უჭერენ მის საჩივრებს და სასამართლო ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სამართალწარმოების დასრულებისთანავე.

98. არც სტრასბურგის სასამართლო არ არის დარწმუნებული იმ წინადადებით, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული პოზიციის მიუხედავად, გადაწყვეტილება ავლენდა იმუნიტეტს ფაქტობრივად ან პრაქტიკულად, მისი სავარაუდო ყოვლისმომცველი ან ბლანკეტური ხასიათის გამო. ეს გადაწყვეტილება ეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების და მოვალეობების განხორციელების მხოლოდ ერთ ასპექტს და არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც სასამართლოს იურისდიქციის თვითნებური ჩამოშორება, მთელი რიგი სამოქალაქო სარჩელების დასადგენად (see *Fayed v. the United Kingdom*, judgment of 21 September 1994, Series A no. 294-B, pp. 49-50, § 65). როგორც ზემოთ 87-ე პარაგრაფში აღინიშნა, კონვენციის სასამართლო პრაქტიკის პრინციპია, რომ მე-6 მუხლი თავისთავად არ იძლევა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების რაიმე კონკრეტული შინაარსის გარანტიას, თუმცა სხვა მუხლებს როგორიცაა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8) და საკუთრების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი) შეუძლიათ ამის გაკეთება. საკმარისი არ არის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ამოქმედება, რომ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით სარჩელის საფუძვლის არარსებობა შეფასდეს როგორც იმავე ეფექტის მქონე რაც გააჩნია იმუნიტეტს, იმ თვალსაზრისით, რომ მომჩივანს არ მიეცეს საშუალება გაასაჩივროს ზიანის მოცემული კატეგორია.

99. უფრო მეტიც, არ შეიძლება ითქვას, რომ ლორდთა პალატა საკუთარ დასკვნამდე მივიდა ისე, რომ საფუძვლიანად არ დააბალანსა პოლიტიკა მომჩივნის გარემოებებში, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება თუ არ დაკისრებასთან დაკავშირებით. ლორდმა ბრაუნ-ვილკინსონმა, ლორთა პალატაში საკუთარ გადაწყვეტილებაში, აღიარა, რომ საჯარო პოლიტიკის პრინციპი, რომ შეცდომები უნდა გამოსწორდეს, მოითხოვდა მძლავრი საწინააღმდეგო მოსაზრებების გადალახვას. მან შეადარა ეს პრინციპი საჯარო პოლიტიკის სხვა საკითხებს, როდესაც მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ზრუნვის ვალდებულების დაკისრება არ იყო სამართლიანი, გონივრული ან შესაბამისი. უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ საქმეებში ეროვნულმა სასამართლოებმა განმარტეს კანონის ეს სფერო, რომელიც ეხება ადგილობრივი ხელისუფლებს პასუხისმგებლობას ბავშვზე ზრუნვის საკითხზე, და მიიჩნიეს, რომ ზრუნვის მოვალეობა შეიძლება წარმოიშვას სხვა ფაქტობრის სიტუაციებში, სადაც, მაგალითად, ბავშვი ერთხელ დაზარალდა ადგილობრივი ხელისუფლების მზრუნველობის ქვეშ ყოფნის დროს, ან მიმღებ ოჯახს მიადგა ზიანი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ისეთი მოზარდის მათ სახლში მოთავსების შედეგად, რომელსაც აქვს მცირეწლოვან ბავშვებზე ძალადობის ისტორია (იხ. *W. and Others v. Essex County Council* and *Barrett*, both cited above, paragraphs 62-65 above).

100. მომჩივნები და კომისია თავის მოხსენებაში ეყრდნობიან Osman-ის საქმეს (ციტირებული ზემოთ), რომელიც მიუთითებს იმაზე (ამ საქმეში, რაც შეეხება პოლიციის ქმედებებს ან უმოქმედობებს დანაშაულის გამოძიებასა და პრევენციის დროს), რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვა გულგრილობით წარმოადგენდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვას. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი მსჯელობა Osman -ის საქმეში დაფუძნებული იყო გულგრილობის შესახებ კანონზე (იხ. *Osman*, cited above, pp. 3166-67, §§ 138-39), რომელიც უნდა განიხილებოდეს ეროვნული სასამართლოების და კერძოდ ლორდთა პალატის შემდგომში გაკეთებული განმარტებების ფონზე. სტრასბურგის სასამართლო კმაყოფილია, რომ გულგრილობის შესახებ კანონმდებლობა, რომელიც განვითარებულია ეროვნულ სასამართლოებში საქმის *Caparo Industries plc* -ის შემდეგ და როგორც ახლახანს გაანალიზებულია Barrett-ის საქმეში, მოიცავს სამართლიან, გონივრულ და შესაბამის კრიტერიუმს, როგორც ზრუნვის ვალდებულების თანდაყოლილ ელემენტს და რომ კანონის განსაზღვრება ამ ელემენტთან დაკავშირებით არ ასახავს იმუნიტეტის მოქმედებას. წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მომჩივანთა შეუძლებლობა სარჩელი შეეტანათ ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ მომდინარეობდა არა იმუნიტეტიდან არამედ მოქმედი პრინციპებიდან, რომლებიც არეგულირებენ სამოქმედო არსებით უფლებას ეროვნულ კანონმდებლობაში. არ არსებობდა

შეზღუდვა სასამართლოს წვდომაზე *Ashingdane* -ის საქმის მსგავსად (ციტირებული ზემოთ loc. cit.).

101. შესაბამისად, მომჩივნებს არ შეუძლიათ განაცხადონ, რომ მათ წაართვეს ყოველგვარი უფლება გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებით მათი მოთხოვნების გამორკვევასთან მიმართებით. მათი საჩივრები სათანადოდ და სამართლიანად იქნა განხილული გულგრილობასთან დაკავშირებული დანაშაულის შესახებ მოქმედი ეროვნული სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით. მას შემდეგ რაც ლორდთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება სადავო სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენებადობა, მომჩივნებს აღარ შეეძლოთ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად რაიმე უფლების მოთხოვნა, ფაქტებთან დაკავშირებით რაიმე სასამართლო განხილვის მისაღებად. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი საქმის განხილვა არნაირ მიზანს არ მოემსახურებოდა, თუ მათ საქმეში არ დადგინდა გულგრილობით შესრულებული ზრუნვის ვალდებულება. სტრასბურგის სასამართლოს უფლება არ არის დაადგინოს უნდა ყოფილიყო თუ არა ეს სამართალწარმოებიდან საქმის ამორიცხვის შედეგი, რადგან ეს ფაქტობრივად გულისხმობს საკუთარი შეხედულებების ჩანაცვლებას ეროვნული კანონმდებლობის სათანადო ინტერპრეტაციასა და შინაარსში.

102. მიუხედავად ამისა, ლორდთა პალატის მიერ ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციამ გამოიწვია მომჩივნების საქმის განსახილველი სიიდან ამორიცხვა. გულგრილობა დადგინდა არ იმისათვის, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას დაეკისროს ზრუნვის მოვალეობა კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელებისას. მომჩივანთა გამოცდილება ფსიქიატრმა აღწერა როგორც „შემაძრწუნებელი“ და სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი იყვნენ მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლნი. მიუხედავად ამისა, მათ მიერ აღძრული ეროვნული სამართალწარმოების შედეგი ის არის, რომ მათ და ნებისმიერ ბავშვს მსგავსი საჩივრებით, არ შეუძლიათ სარჩელი აღძრან ადგილობრივი ხელისუფლების გაუფრთხილებლობის გამო, რაც არ უნდა განჭვრეტადი და მძიმეც არ უნდა იყოს მიყენებული ზიანი და რამდენადაც არაგონივრული არ უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების საქციელი ამ ზიანის თავიდან ასცილებლად ნაბიჯების გადადგმისას. მომჩივნები მართებულნი არიან, რომ ეროვნულ კანონმდებელობაში მათ მიერ გამოვლენილი ხარვეზი არის ის, რაც წარმოშობს კონვენციის საკითხს, მაგრამ სტრასბურგის სასამართლოს აზრით, ეს არის მე-13 მუხლის და არა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საკითხი.

103. სტრასბურგის სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კონვენციის საგანი და მიზანი, როგორც მოცემულია 1-ლი მუხლში არის ის, რომ უფლებები და

თავისუფლებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მისი იურისდიქციის ფარგლებში. კონვენციით დადგენილი დაცვის მექანიზმებისთვის ფუნდამენტურია, რომ ეროვნული სისტემები თავად უზრუნველყოფენ კომპენსაციას მისი დებულებების დარღვევისთვის, ხოლო სტრასბურგის სასამართლოს გააჩნია ზედამხედველობითი როლი სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით.

ამ კონტექსტში, მე-13 მუხლი, რომელიც მოითხოვს სამართლიანი დაცვის ქმედითი საშუალების უფლებას კონვენციის დარღვევებთან დაკავშირებით, იღებს გადამწყვეტ ფუნქციას. მომჩივანთა საჩივრები არსებითად არის ის, რომ მათ არ მიეცათ სამართლიანი სასამართლოს გამოყენების საშუალება იმის გამო, რომ არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო დაცვის დონით არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ, რისი უფლებაც მე-3 მუხლით გააჩნიათ.

ეროვნულმა სასამართლოებმა მოიხსენიეს „საზოგადოებრივი პოლიტიკა, რომელსაც აქვს პირველი პრეტენზია კანონის ერთგულებაზე“, როგორც „შეცდომები უნდა გამოსწორდეს“. რაც შეეხება კონვენციის შეცდომებს, ეს პრინციპი ასახულია მე-13 მუხლში (see, *inter alia*, *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, § 152, ECHR 2000-XI. მე-13 მუხლის თანახმად, მომჩივნების უფლება უნდა განიხილებოდეს და საჭიროების შემთხვევაში, დადასტურდეს.

104. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ სახეზე არ ყოფილა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.